ცნობიერების ფილოსოფია

ლეონიდ-ლუკა კაზანჯი

ეძღვნება დიდ ქართველ მამულიშვილს
ბატონ ჯემალ ჯიქიას

კაცობრიობა ზესულიერი პროცესების სწორხაზოვანი განვითარების შედეგად წარმოქმნილი კოსმიური ენერგიის ალომენურ აზრობრივ ველში აკუმულირების წყალობით შექმნილი უნივერსალური მაკროსოციუმია. ადამიანი ფსიქოსომატურ სიბრტყეში გენეტიკურად განვითარებადი დიადი ფენომენია, რომელიც ასრულებს ერთგვარი გენეტლიალური მედიატორის როლს მიღმიერ და ამქვეყნიურ სამყაროთა შორის. სამყარო აერთიანებს კოსმოცენტრულ გალაქტიკებსა და ანთროპოცენტრულ განზომილებებს. სამყარო სინათლის გონისმიერ საწყისთა მადლისმიერ დონეზე ხორცშესხმის აბსტრაგირების პროცესის მმართველ ისტორიულ-ფილოსოფიურ კანონზომიერებებს ემორჩილება. ზემოაღნიშნული კოსმოგენიური სივრცე გახლვთ სისტემატიზატორი მატერიალური შემეცნების სახით წარმოდგენილი იდეური არსებითობისა და ალტრუისტური შეცნობის სახით წარმოსახული ზეგრძნობადი ინტუიციური ძიებებისა.

სამყაროში ყოველი ელემენტი ერთმანეთს აბალანსებს, შესაბამისად, სავსებით შესაძლებელია იგი ურთიერთბალანსირებადი სუბსტანციების ამფონერსულ მთლიანობად მივიჩნიოთ. სამყარო ნეგატივსა და პოზიტივს აბსტრაქციულ დონეზე აერთიანებს, რაც მძაფრი აზრობრივი ბრძოლების ელამორფული საწინდარია. სამყარო გახლავთ იდეური ბრძოლის ასპარეზი, რომელიც ქმნის რევოლუციურ შესაძლებლობებს ახალ აზრობრივ, ზეეპოქალურ ცვლილებათა დასაწყებად. იგი სუბსტანციასა და სუბსტანტს ერთი იდეური სიტემის ორ მხარედ აყალიბებს, რაც აადვილებს ალოგლეტეგენიური ბრძოლის მეთოდიკის დედუქციურ დონეზე შემუშავებას. სამყაროში ვარსკვლავები მძლავრ იზომორფულ ელემენტთა გასაოცარ ენერგეტიკულ კავშირებად გვევლინებიან. აღნიშნული ფაქტი რელატიური ჭეშმარიტების მაგალითია.

პლანეტა, ვარსკვლავი, შავი ხვრელი - აი, ენერგეტიკული განზომილებების ედისტროფიული (ზესულიერი) შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებული დესუნქციური სისტემები. სამყარო გახლავთ უპირველეს ყოვლისა, იდეური სისტემა, რომელიც იბრძვის კოსმიური ენერგიის როგორც მადლისმიერი გონისგან მომდინარე აზრობრივი ნაკადის განახლებადობის კანონის დასაცავად. სამყაროს სიმეტრიის და რელატივაციის კანონებს ემორჩილება. ზოგადად, კოსმოსი გახლავთ ელამორფულად მოძრავი მაკრანაციული (ფიზიკური) და ფსიქოგენურად განვითარებადი მიკროსეგალიურ (სულიერი) ელემენტების გაერთიანების პროცესის სწორად წარსამართად ბრძოლის აზრობრივი ასპარეზი.

სამყარო კოსმოსის დედაა, ხოლო კოსმოსი სამყაროსეული გარდასახვების პროცესის წარმომშობი თეოსოფიური ფენომენია. ზოგადად, სამყაროში მიმდინარეობს სულიერ სუბსტანციათა გენეტიკურად განსხეულების პროცესი, რაც საწინდარია მარადიული არსებითობის შეუცნობელი მეტაფიზიკური კანონებისა.

სამყარო ნომოთეტურად ვითარდება იდიოგრაფიულ სიბრტყესა და ალტრუისტულ სივრცეში. ზოგადად, სამყარო ენერგიების შეტაკების ადგილია, რომელიც იყოფა სხვადასხვა დიდი თუ მცირე კოსმონომიურ გალაქტიკებად, რომელშიც გვხვდებიან სხვადასხვა სახის დისონომიური განზომილებები. სამყარო, როგორც თეოგენიური მოვლენა ცხადდება ინტროსპექტიულ საწყისთა რეტროსპექტიული გამოვლინებების რეტროაქტიურ ბუნებაში. შესაბამისად, სამყაროში არსებობს ცნობისმიერი ადიქციური განზომილება, რომელშიც ყალიბდება ღვთიური აზრი, რაც წინაპირობაა ინტელექტუალური პროგრესისა. სამყაროში რეტროსპექტიული საზრისის საფუძველი კოსმოგონიურად განვითარებადი ინტროსპექტიული საწყისია, ანუ, კოსმოსი ერთიანი სულიერი სუბსტანციაა, რომელიც შეიქმნა თეოგენიური მისწრაფებების თეოსიფიურ სიბრტყეში ხორცშესხმის ზეეგზისტენციალური პროცესის ენერგეტიკულ დონეზე ეპოქალურად განსრულების შედეგად.

როგორ შეიქმნა სამყარო? - იგი შექმნა უმაღლესმა მადლისმიერმა გონმა ობსტრუქციისა და სუბსტრაქციის ალოპატრიული კომბინირების შედეგად. გარდაქმენი საწყისი საზრისად და იპოვე საზრისის საწყისი. - მაშინ შენ ეზოთერულ რებუსთა ამოხსნის კონტენპლაციურ ხელოვნებას ექსპლიციტურად დაეუფლები.

სამყარო - სამ არეს აერთიანებს: 1. ეთერული სამყარო, რომელიც თვალით უხილავია. 2. ფიზიკური სამყარო - თვალით ხილული. 3. კოსმიური სივრცე, ანუ ის, რაც წინა ორ გონისმიერ არეალს ერთ სულიერ აბსოლუტად კრავს. კოსმოსი ფიზიკური ელემენტების სულიერ-იდეოლოგიური განვითარების პროცესს აცხადებს ნებისმიერი სახის ცნობიერი სამყაროს სულიერ საფუძვლად. შესაბამისად, სამყაროში ყველაფერი არაფერია, ხოლო არაფერი ყველაფერია. კოსმიური უკვდავება გახლავთ საწყისი ისტორიულ-გენეტიკური მეხსიერებისა, ხოლო უკანასკნელი გახლავთ ღერძი მეტაფიზიკური ცნობიერებისა, რომელიც უხსოვარი დროიდან იკვებება სხვადასხვა აზრობრივი ენერგიებით. კოსმოსში მთავარი ადგილი უჭირავს გონისმიერ ენერგიას რომელიც ცხადდება ზეკოსმიურ საიდუმლოებათა წყებაში, ანუ ზოგჯერ კოსმიური ზეკოსმიურს განსაზღვრავს, ხოლო ზოგჯერ ზეკოსმიური კოსმიურის საფუძველია.

კოსმოსში ვარსკვლავი გახლავთ ღვთიური იდეური ელემენტების გამაერთიანებელი აზრობრივი რგოლების იზომორფული ალიანსის სახით წარმოდგენილი ეგზისტენციალური არსებითობის ნიმუში.

მზე, რომელიც უძლიერესი ვარსკვლავია, გახლავთ ღვთიური მადლით გაცისკროვნებული ენერგეტიკული ნაკადების სუბსტანციური იერარქიის სათავე, რადგან მასში იდიოგრაფიულად ერწყმის ურთიერთს გონისმიერი ნებელობა და მადლისმიერი აზროვნება.

კოსმოსში კომეტა - დამოუკიდებელი კოსმიური ენერგიის წყაროა, რომელიც კოსმოლოგიური კატაკლიზმის შედეგად ნადგურდება, ისევე როგორც კვდება ვარსკვლავი, თუმცა იგი შობს ახალს, თან ძველის მემკვიდრეს, ასე ვთქვათ მეტწილად მასზე აღმატებულს.

კოსმოსში შავი ხვრელი ბოროტ და კეთილ ენერგიულ ნაკადთა მძლავრი ურთიერთბრძოლის ასპარეზია, რომელშიც მუდამ იმარჯვებს სიკეთე, მაგრამ არა ბოროტების განადგურებით. წყვდიადშიცაა ნათელი და სინათლეშიცაა წყვდიადი. სამყარო მათემატიკურ სიმეტრიას ეყრდნობა, ვერც ერთი მატერიალისტი ვერ ხსნის თეოლოგიის გარეშე სინათლის სწორხაზოვან ბუნებას, ანუ სინათლეს აქვს გონისმიერი საწყისი, რომელიც იძენს მადლისმიერ სხეულს და ეს ენერგია გადაიცემა ცნობიერიდან ცნობიერში ანუ ისტორიულიდან მეტაფიზიკურში.

ენერგიის განახლებადობა გახლავთ ამოსავალი წერტილი სამყაროს არსებითობის თეოსოფიური პროგრესისა. სამყაროს მართავს ღვთიური მეხსიერება, რომლის ნაწილია კოსმიური ცნობიერი სამყარო, როგორც მისტიკური მდინარე, რომელიც მოედინება სულიერებიდან ყოფიერებისკენ

სამყარო კოსმოსს აძლიერებს, ანუ იგი კოსმოსის საფუძველია. ხშირად ვხვდებით ამ სივრცეში კოსმიურ ენერგიათა ბრძოლას, კერძოდ, მეტეორები გავიხსენოთ, რომლებიც გასაოცარი აზრობრივი ასონანსის საწყისები არიან. ბოროტებას არა აქვს სუბსტანციური ბუნება, არ არსებობს ბოროტი საწყისი. მთავარი ამ შემთხვევაში სიკეთის სამარადჟამოდ გამარჯვებაა.

რა არის კოსმიური ენერგია? - იგი გახლავთ სულიერი საწყისებისგან წარმომდგარი ენერგეტიკული ელემენტების გასაოცარი მთლიანობა, რომელიც წარმოშობს სიკეთისკენ სწრაფვას, ანუ იმ ზრახვას, რომელიც აცოცხლებს ცნობიერებას. ცნობიერი სამყარო აზრების მოძრაობის არეალია, რომელშიც ერთმანეთს ებრძვის სიკეთე როგორც სუბსტანტი და ბოროტება როგორც სიკვდილი. მატერიალისტი ადამიანი იკითხავს: მაშ, რატომ კვდება ვარსკვლავი, ადამიანი, ეს ხომ უსამართლობაა? - არა, ვარსკვლავიც და ადამიანიც საკუთარი სიკვდილით გარდაიქმნება ახალ სხეულებრივ ელემენტთა ნაერთად, შემდგომ კი კვლავ ბრუნდება პირვანდელ მდგომარეობაში, ანუ სულიერი რეინკარნაცია რეალურია და მისი არსებობა მტკიცდება ეზოთერული კოსმოლოგიის კანონების შესწავლით. მზე - ლუნარული საწყისია, ხოლო მთვარე კომეტარული. რას ვგულისხმობ? - მზე სიცოცხლეს ქმნის ანუ ქალური ელემენტია, მთვარე კი სინათლეს იცავს სიბნელეში - ეს მამაკაცური მისიაა. აი, სად ცხადდება ქალისა და მამაკაცის სოციონომიური კავშირის მისტიკური ბუნების ეზოთერული არსი. თავისუფლად შეიძლება ითქვას! სიკვდილი ქალისა - ეს კოსმიური სინამდვილეა, ხოლო სიკვდილი მამაკაცისა - ეს კოსმიური სინამდვილის ირეალური ასახვაა. სამყაროში აზრი, ფიქრი არ იკარგება, როგორ ენერგეტიკულ აზრისმიერ ნაკადსაც გვიბოძებს კოსმოსი, ისეთივე ენერგიას ვაგზავნით კოსმიურ სივრცეში. მეხსიერება არ არის ინტელექტი. იგი არის ის, რაც განსაზღვრავს ყველაფერს, მათ შორის აზროვნების სტილს კონკრეტული სახის ცნობიერ სამყაროში.

კოსმოსში იბადება აზრი, რომელიც შემდგომ აისახება გარკვეულწილად კონკრეტული ტიპის რესტრიქციულ ცნობიერ სამყაროში, თუ არ შექმენი ვერ განავითარებ, ხოლო თუ არ განავითარებ ნუ შექმნი. კოსმოსში თეოგენია და კოსმოგონია ერთიანი სუბსტანციაა, ხოლო ფსიქოანალიტიკური შესაწავლისას აშკარად ვხვდებით, თეოგენია მაღლა დგას თეოგონიაზე,

ხოლო თეოგონია განსაზღვრავს კოსმოგონიას, ესეც სამყაროს კონიუნქციური წესრიგი! სიცოცხლე იგივე სიკვდილია, ხოლო სიკვდილი იგივე სიცოცხლე, უფრო სწორად, ახალი ცნობისმიერი სიცოცხლის დასაწყისია. მებადება აზრი სიკვდილისა და სიცოცხლის ერთიან სიბრტყეში განხილვის შესახებ. ადამიანი მოგზაურობს ალტრუისტული თვალსაზრისით სხვადასხვა სოფისტურ განზომილებებში, რაც მას აქცევს ამქვეყნიური სამყაროს იდეურ კარიბჭეთა მცველად და მიწიერი ცხოვრების აზრობრივი ცენტრის სულიერ გენეტიკურ განსხეულებად.

ადამიანი სულიერ-ობლიგატორული ანუ სულიერად სავალდებულო მისიის აღმსრულებელი არსება, რომელიც უნდა დაიბადოს რათა მოკვდეს, უნდა მოკვდეს რათა ახალი აზრობრივი სივრცე წარმოშვას. ღვთიური საწყისი თითოეულ ადამიანში სახლობს, მთავარია შეამჩნიო, შეიგრძნო იგი და განავითარო ის.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ადამიანი ცნობიერად არსებული ქმნილებაა, რომელიც არსებითობის მიღმა არ არსებობს, მაგრამ არარსებობაში მაინც არსებობს, როგორც სამომავლოდ პოტენციურად არსებითის შემქმნელი სუბსტანტი. ადამიანი ქმნის სივრცეს, რომელსაც უფლის ნებით ან აღვიძებს ან კეტავს. ადამიანი ღმერთმა თავის ხატად და მსგავსად შექმნა, თუმცა თან დააკისრა უმძიმესი, მაგრამ არაშეუსრულებელი მისია სამყაროს სწორი გზით განვითარებასთან დაკავშირებით. ადამიანი ასე იშიფრება: ა- დაიწყო სიცოცხლე, დ- დაიწყო განვითარება, ა- ახალ ფაზაში გადავიდა ცნობიერება, მ- აღდგა გენეტიკური მეხსიერება, ი- განვითარდა მეხსიერება, ა- იშვა ახალი ცნობიერება, ნ- სრულჰყო მისია, ი- დასრულდა მისი მისია. ადამიანის მისია გახლავთ ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ სამყაროს გადასარჩენად.

კოსმოსში ხშირად ერთმანეთს ებრძვიან განზომილებები, კერძოდ ერთი სამყარო, მაგ. ელგხეიმი ებრძვის მუსპელხეიმს ან პირიქით - ეს ბუნებრივი მოვლენაა, რადგან ბრძოლა, მითუმეტეს აზრობრივი და მითუმეტეს განზომილებითი გარკვეული ეპოქალური ქარტეხილების განვლის შემდგომ უნივერსალურ მშვიდობას წარმოშობს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, შეუძლებელია ღმერთთან ბრძოლა, რადგან მან შეგქმნა შენ, ხოლო ის ვინც შენ გქმნის ყოველთვის აღმატებულია შენზე, რადგან შემქმნელმა ის ფაქტიც იცის თუ როგორ შეიძლება შენი გონების ან დახშობა ან გაღვიძება, ხოლო ის ვინც ფლობს გონს და მადლს, ანუ ღვთიურ საწყისს, მხოლოდ იგია უფლის ჭეშმარიტი მსახური და მისი ნების სრული სიზუსტით აღმსრულებელი.

გინდა სიცოცხლე? - მაშინ იბრძოლე! გინდა აზრი? - მაშინ იშრომე! გინდა რწმენა? - მაშინ მიიღე! ცნობიერება მეხსიერების აპოფატიკური ნაწილია, რომელიც ასულდგმულებს სამყაროს. ცნობიერ სამყაროში ხდება რელატივაციური გადახრები ანუ აზრობრივი ბრძოლები, რომლებიც აყალიბებენ ადამიანურ მსოფლმხედველობას, ანუ ისინი ქმნიან ახალ აზრობრივ ალტრუისტულ განზომილებას, რაც ტრივიუალურ ჭეშმარიტებად გვეჩვენება ჩვენ - ჭეშმარიტ ეზოთერიკოსებს. იპოვე თავი შენი, შეიცანი იგი და განავითარე იგი. დაე, მუდამ გახსოვდეს - ჭეშმარიტება თითოეულ ჩვენგანში სახლობს და სწორედ ის გახლავს ჩვენი ალმა მატერი.

აზრს შობს ფიქრი, ფიქრს შობს გონი, ხოლო გონს ქმნის ღმერთი. აზრობრივ კოსმოსს თავისი კანონები აქვს, პრინციპები, რომელსაც მატერიალისტური რეალიების მიხედვით მოაზროვნე ადამიანი ვერ ჩაწვდება, რაც ჩვენთვის საზარელი მოვლენაა. ის, ვინც არ ფლობს ოკულტიზმს, არ არის ოდეგრანდისტი (სულიერიკოსი, ანუ უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ინტუიტიკოსი). ინტუიციით გავიმარჯვებთ, ახალ ეპოქას შევქმნით, ეპოქას, რომელიც ახლ აზრობრივ სამყაროს ააშენებს, უძველესი იდეური ატლანტური იმპერიის აღდგენის სახით. ინტუიციური გამოცანა: გაქრა, დაიწყო, გაქრა, დაიწყო . . . ეს აზრის სიცოცხლეა, აზრი იქმნება, ქრება, ისევ იქმნება, ბოლოს კი ცხადად იქცევა - ასეთია ადამიანის ცნობიერი სამყაროს განვითარების პრაგმადიალექტიკური კანონი.

ცნობიერი სამყარო - ინდივიდუალური მეხსიერებაა, როგორც ფენომენი, რომელიც აერთიანებს მიღმიერსა და მიწიერს, ანუ აქ იკვეთება ადამიანთა გონისმიერი მისწრაფებების „ოქროს პარიტეტი“. სამყარო ერთ დიდ აზრობრივ ორდენს ჰგავს, რომელიც ებრძვის ბოროტებას, მაგრამ არა მისი განადგურების, არამედ მისი დამარცხების მიზნით. თუ არ შეიგრძენი ბოროტების ტირანია, ვერასოდეს გაიგებ სიკეთის არსს, თუ არ დაეცი, ვერასოდეს ისწავლი სწორად სიარულს, თუ არ დამარცხდი, ვერასოდეს გაუგებ გემოს გამარჯვებას.

მისტიფიკაცია სამყაროსეული სიბრძნისა გახლავთ ნოყიერი ნიადაგი ახალი ზეეპოქალური აზრობრივი ევოლუციის დასაწყებად. თუ არ ქმნი ახალს ესეიგი აზრს უკარგაგ ძველს, ხოლო თუ პატივს არ სცემ ძველს, ესეიგი არ გსურს ახლის შექმნა - ეს ის ინტუიციური ფორმულაა, რომელიც გვაახლოებს რაციონალიზმის დიქტატურის რღვევასთან და ამ გზით ალტრუისტული ერის დაწყებასთან სიმართლე უძლიერესი მახვილია, რომელიც ჭრის ყოველივეს, ხოლო ტყუილი ბაცილაა, რომელიც მოჩვენებითად ქმნის წესრიგს. სიცრუეზე დაყრდნობილი წესრიგი ეფემერულია, ხოლო სიმართლით ქმნილი სამართლიანობისთვის შექმნილი კი მარადიული. რა სჯობს სიკეთეს? - არაფერი. მაშ, რატომ იქმნი ბოროტს? - იმიტომ რომ სუსტი ხარ. ბოროტება სისუსტეა, ხოლო სიკეთე სამარადჟამო ძლიერება. თავისუფლად შეიძლება ითქვას, თუ არ არსებობს სულიერება, მაშინ რა აზრი აქვს ყოფიერებას? მაშ, რატომ ვარსებობთ - ნუთუ, მხოლოდ იმიტომ რომ მივირთვათ საკვები და დავიკმაყოფილოთ ხშირ შემთხვევაში ცხოველური მოთხოვნილებები - მაშ, რა აზრი აქვს ჩვენს ცხოვრებას? რისთვის გავჩნდით, რატომ ვარსებობთ- თუ არავითარი ზეეგზისტენციური მისია არ გვაქვს? - აი, მთავარი კითხვა, რომელსაც ვერავითარ არგუმენტაციას ვერ უპირისპირებს თანამედროვე ემპირიული მატერიალიზმი და კონსტელაციური რაციონალიზმი.

თუ სამყარო ღმერთმა არ შექმნა, მაშ როგორ შეიქმნა? თავისთავად? თუ გჯერათ დიდი აფეთქების თეორიის, იქნებ ახსნათ რა იყო აფეთქებამდე - ქაოსი? რომელმაც შვა წესრიგი. თავისუფლად შეიძლება ითქვას 21-ე საუკუნის ბიოლოგია ვერ ქმნის ცოცხალი ელემენტების გარეშე ვერავითარ სიცოცხლეს, მითუმეტეს ადამიანურს, მეტიც - კლონირების ტექნიკაც კი გააცამტვერა ქრისტიანულმა ასკეზამ და საკაცობრიო იზოთეოზისმა. ახსენით ძვირფასო მეცნიერებო? მაშ, ვინ ვართ ჩვენ და რა დანიშნულება გვაქვს გართობის გარდა? - ჩვენი მისია სამყაროს განვითარების პროცესში აქტიური მონაწილეობაა და არა მხოლოდ ცხოველური ჟინის დასაკმაყოფილებლად ანტიღვთიური ზრუნვა. მეხსიერება გავაღვიძოთ და ჩვენც

გავიღვიძებთ ამ, ალბათ მრავალათასწლოვანი საღათას ძილისგან. მატერიალისტებო, იფიქრეთ სულიერებაზე, ტრანსცენდენტურ მედიტაციაზე, ასკეზასა და განღმრთობაზე და მაშინ შესაძლოა ხანგრძლივი, მაგრამ სწორი კვლევა-ძიების შემდგომ მიხვიდეთ დასკვნამდე - ჩვენი ზეციური მამა არსებობს და იგია ჩვენი ცნობიერი სამყაროს შემქმნელი. ის რაც უფალთან გვაახლოებს ისტორიულ-გენეტიკური მეხსიერებაა, ხოლო ის რაც გვაშორებს არასწორად აქმული მოვლენების წყება. მთავარი სწორი აღქმაა და ასევე გახსენება, გახსენება იმ დროისა, როცა ედემში იყავი და როდესაც ცოდვის ჩირქი ჯერ კიდევ არ ეცხო შენს უმანკო და კეთილ სულს.

როგორ გავაღვიძოთ მეხსიერება? - ეს უნდა განვახორციელოთ ინტუიციურად, ასე ვთქვათ, ალოგიკური გამოცანებით და რაც მთავარია, ნამდვილი გულწრფელი ლოცვით. განსაკუთრებით ძლიერი ლოცვებია მართლმადიდებლობაში, რადგან თვითონ სიტყვა ეტიმოლოგიურად ნიშნავს სიმართლის დიდებას, მართლის თქმას და სამართლიანობისკენ დაუოკებელ სწრაფვას. კიდევ ერთი ინტუიციური რებუსი: „აიეტიდნო, ყველა ქვეყნისა გაერთიანდით!“ არა, მკითხველო, ნუ იფიქრებ აიეტიდებში მხოლოდ კოლხებს, ნამდვილი კოლხი სიკეთის მიმდევარი ადამიანია, აიეტის მემკვიდრე და ქრისტეს მორწმუნეა, თუმცა აშკარაა კოლხურ-იბერიულ-ქალდეური მოდგმის ხალხთა გენომში კოდირებულია უზარმაზარი ენითაუწერელი ანტუიციური სიბრძნე, რომელიც ეფუძნება მონოთეისტურ რწმენას და რომელიც ქმნის მსოფლიოს ცნობიერ სამყაროში - პროჰიბიტორულად პროგრესირებად ეგზისტენციურ ცოდნას. არ არსებობს ნამდვილი რწმენა - სიბრძნის, სიბრძნე - რწმენის და ცოდნა - ორივეს გარეშე.

სოკრატე ამბობდა: „მე ვიცი ის, რომ არაფერი არ ვიცი, მაგრამ სხვებმა ესეც არ იციანო“. რა აზრია ამ ფრაზაში? ადამიანი ხვდება, რომ ვერაფერს ჩაწვდა, მაგრამ მისთვის ეს ჩაუწვდომლობაც ჩაწვდომის ტოლფასია, რადგან როდესაც ამ ფრაზას ამბობ, ის მაინც იცი, რომ არაფერი არ იცი. ეს გახლავთ არცოდნაში განცხადებული გასაოცარი ცოდნა, რადგან ზოგჯერ არცოდნა ცოდნაზე მძლავრი იარაღია, ხოლო ცოდნა სისუსტეა. თუ არ იცი ესეიგი იბრძვი რომ იცოდე, მაგრამ როდესაც არასწორად იცი ესეიგი არასწორად გესმის სამყაროსეული ხედვა დ ასე ვთქვათ, არასწორად ღვთიური მადლისგან განყენებულად ვითარდები. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ურწმუნო ადამიანი ვერასდროს გაიმარჯვებს ვერც საკუთარ თავზე და ვერც ეშმაკზე, რადგან რწმენაა უფალი, ხოლო ურწმუნოება ლუციფერი.

კონფუცი ამბობდა: „ხალხს მატყუარა ადამიანი უფრო უყვარს, ვიდრე მართალი, რადგან ტყუილი თაფლია, ხოლო სიმართლე მახვილი“. კონფუცი კოლხურად ნიშნავს ღვთის მსახურს ანუ „მღვდელ კრიპტოსტრატორს“ - ფილოსოფოსს.

ტყუილი გვაშორებს ჭეშმარიტებას, სიმართლე კი გვაახლოებს მასთან. რა არის ჭეშმარიტება? - ჭეშმარიტება გახლავთ არარსებულ სუბსტანციაში განცხადებული არსებითი სიმართლე, რომელიც დაიმზირება არაობიექტური მეცნიერული მიდგომით, არამედ ნამდვილი ზეგრძნობადი ინტუიციური შემეცნებით. ადამიანთა მეხსიერება აპოფატიკური

ასახვაა კოსმიური გონისმიერი განზომილებების იზომორფული აქცეპტლიაციური მთლიანობისა - ეს ჩემს ცნობიერ სამყაროში ნამვილად სიმართლედ აღიქმება.

დასკვნა: სამყარო აპოფატიკური ცნებობრივი მოცემულობების გენეტიკურად განვითარებადი ფორმაციების მთლიანობაა, რომელიც ვითარდება ტრანსცენდენტურად, ანუ ყოფიერებისაგან განცალკევების გზით ყოფითი ცხოვრების ისონომიური გაუმჯობესებით. მაგ. ბერად აღკვეცილი სარდალი თავისი ლოცვით უფრო მეტს აკეთებს კაცობრიობისთვის, ვიდრე მისი ბრძოლებით და ა. შ. არ არსებობს სამყარო გონების და გონება სამყაროს გარეშე. მისტიკური ფილოსოფია სამყაროსეული სიბრძნის კარიბჭის აპოფატიკური გასაღებია, რომელიც გვიხსნის კაცობრიობის წარსულის, აწყმოს და მომავლის საიდუმლოებათა კოსმიური ციკლის აგნოსტიკურ ელემენტებს. გსურს გამარჯვება? - მიენდე უფალს, გჯეროდეს მისი და ამ გზით მიხვალ ედემამდე, ვალჰალამდე, გოკურაკუმდე, შუგარასამდე, ამურაბჰამდე,ჰესპერიდთა ბაღამდე.

თეოლოგია, ფილოსოფია, ოკულტიზმი - აი, სიბრძნის სამი სვეტი, რომლის გაერთიანებით იქმნება აუღებლივი აზრობრივი ციხე-სიმაგრე, რომლის კარიბჭეს ვერასდროს შეანგრევს მატერიალიზმი და რომელთან ბრძოლაში დაიმსხვრევა ემპერიული ფაქტოლოგიის იდეური დიქტატურა.


ინტუიცია
ლოგიკა
ეპისტემოლოგია
მისტიციზმი
გნოსეოლოგია


მისტიკა
მათემატიკა
ფილოსოფია
ეზოთერიკა
თეოლოგია


ლექსიკოლოგიური
მისტიციზმი
ისტორიოგრაფია
მათემატიკური
ოკულტიზმი
მისტიკა


სიკვდილი
ასოციაცია
ვარდნა
სიცოცხლე
ლოგიკა
მისტიკა


მაგიის ხელოვ-ნების კონცე-ფტუა-ლური საწყის-ები
მისტიკური რემინისცენ-ციების ოკულტური ბუნება
ლიტერატუ-რული კომპარატი-ვისტიკა შედარებითი ანალიზი
გრამატიკის წინააღმდეგ გალაშქრება
ემპირივიტიკა
ეზოთე-რიკის მეცნიე-რების საფუძ-ვლად განხი-ლვა


მისტიკა
ფილოსოფია
თეოლოგია
ჰუმანიზმი
დესუნქცია
და
ექვივალენტურობა


ეპისტემოლოგია
გნოსეოლოგია
აქსიოლოგია
ფილოსოფია
ესქატოლოგია

მისტიკური ძიება



ვარსკვლავთა გონი



რეინკარნაცია

კოლხური მისტიკა



კოსმიური გონი



აუტოპოიეტურობა

მეხსიერება


მატე-
რიალი-
ზმი
ალტრუ-
იზმი
რაციონალი-
ზმიდან
ბრძოლა
ემპირიის
დაძლევა

კავკასიური სულიერება




ლაზეთის მისია
მატერიალიზმთან ბრძოლა
ალტრუიზმი
ჰუმანიზმი
წმინდა სამება
დესპოტიზმი
პოლიტიკა
წმინდა სამება
კულტურა
ფილოსოფია
წმინდა სამება
დილეტანტიზმი
თეოგენია
წმინდა სამება
გონება
მეხსიერება
წმინდა სამება
ცნობიერება

სიყვარული


ფილოსოფიური
აზროვნების
უნარის
გააქტიურება
თეოგენია
ინდივიდუალური
ეთიკის გავლენის
განმტკიცება
ღვთიური
თვალსაზრისით
კოსმონომიური
დისკო
ნომოთეტური
აზრებისა

დასკვნითი სქემა